საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/19

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის ბ[1] ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ერთიდაიმავე სასწავლო კურსის: სპეციალობის საგნის ორჯერ და არასპეციალობის საგნის სამჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება"

2. გაუქმდეს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 75 დადგენილება.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**